

## ოქმი N10

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომის

2017 წელი, 11 მაისი  
ქ. ოზურგეთი, 16<sup>00</sup>სთ

ესწრებოდნენ:

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,  
კომისიების თავმჯდომარეები: ლ. ბიგვაძე, ი. საჯაია, ნ. ტაბატაძე, მ.  
მახარობლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ. ნადირიძე, კ. კვაჭაძე, ნ. ორაგველიძე.

არ ესწრებოდნენ: თ. სალუქვაძე, ლ. თოიძე,

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ. გოგუაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ქალაქის მერი და მერიის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

### დღის წესრიგი

1. „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებლები: მარიკა ნაცვალაძე

ლავრენტი ბიგვაძე

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: ნ. ორაგველიძე - ვინც დაზარალდა ყველა დაკმაყოფილდება?

ბ. სიორიძე - დიახ, ვინც დაზარალდა ყველა დაკმაყოფილდება.

მ. წიფწივაძე - ყველა აღინუსხა, ხარჯთაღრიცხვა არის წარმოდგენილი, ამის შემდეგ ტენდერი გამოცხადდება.

დაადგინეს: საკითხი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.  
დამტკიცდა ერთხმად

2. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების I კვარტლის ანგარიშის განხილვის შესახებ.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებლები: ლავრენტი ბიგვავა**

**მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ წარმოადგინა კომისიის დასკვნა 2017 წლის I კვარტლის ანგარიშის განხილვის შესახებ.**

**დაადგინეს:** გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და ცნობის სახით მისაღებად.

**დამტკიცდა 8 ხმით**

**წინააღმდეგი: თ. ნადირიძე**

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**მომხსენებელმა ნ. გოგუაძემ განმარტა პროექტი.**

**აზრი გამოთქვეს: ნ. გოგუაძე** - დაახლოებით ამავე სათაურის პროექტი განვიხილეთ ბიუროზე და საკრებულოზეც. მიმდინარეობდა დისკუსია. სამწუხაროდ ჩვენს მიერ მოყვანილი არგუმენტები ვერ გაითვალისწინეს პროექტის ავტორებმა. მე კარგად მახსოვს ყველა თქვენთაგანის პოზიცია, მაგრამ რადგან არ მოხერხდა ზოგიერთ დეტალზე შეთანხმების მიღწევა, შემდგომ ეს იქნა გამოყენებული თითქოს ქალაქის საკრებულო წინააღმდეგი იყო რეგულირების დროებითი წესის მიღების, მე შემოვდივარ ინიცირებით და წესის პროექტი მინდა გადავცე კომისიებს და ფრაქციებს განსახილველად.

**ბ. სიორიძე** - ადმინისტრაციული წარმოების დროს თუ იყო რაიმე სახის შეხვედრა ან განხილვა პეტიციის ავტორებთან?

**ნ. გოგუაძე** - რათქმაუნდა, ესწრებოდნენ კომისიების სხდომებს.

**დაადგინეს:** პროექტი დაეწეროს კომისიებს და ფრაქციებს განსახილველად.

**დამტკიცდა 8 ხმით**

**წინააღმდეგი: თ. ნადირიძე**

4. „სსიპ თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) ქონების - ქალაქ ოზურგეთში ა. წულაძის ქუჩაზე არსებული 329 კვ/მ (ს/კ 26.26.47.087 ); 330 კვ/მ (ს/კ 26.26.47.086) და 114 კვ/მ (ს/კ 26.26.47.144) ფართობის მიწის ნაკვეთების, პირდაპირი განკარგვის წესით, (იჯარის უფლებით), 20 წლის ვადით გაცემის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე**

**მედეა მახარობლიძე**

**მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**აზრი გამოთქვას: ნ. ორაგველიძე** - ეს საკითხი განვიხილეთ კომისიის სხდომაზე, გვაქვს ერთი შენიშვნა, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გაჩერდეს ისეთი მიკროავტობუსები რომელსაც არა აქვთ მგზავრთა გადაყვანის ლიცენზია და შესაბამისად არა აქვთ სამარშრუტო ხაზი.

**ბ. სიორიძე** - ქ-ნო ნაწილი მესაკუთრის აზრი ასეთია, რომ არ დადგეს იქ ლიცენზიის არ მქონე მიკროავტობუსები.

**ლ. ბიგვაგა** - მე დავაყენე ეს საკითხი კომისიის სხდომაზე ავტოსადგურის მესაკუთრესთან.

**მ. წივწივაძე** - ეს საკითხი შესაბამის კომისიებში განხილულ იქნა.

**ნ. ორაგველიძე** - სასურველი იქნება ახალი ავტოსადგურის უკან ნაკაშიძის ქუჩაზე დამაკავშირებელი ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდი გაკეთდეს.

**ბ. სიორიძე** - ჩვენ გვაქვს მოლაპარაკებები, რომ იქ გაკეთდეს არა მხოლოდ საცალფეხო, არამედ საავტომობილო ხიდიც.

**დაადგინეს:** გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა 8 ხმით**

**წინააღმდეგი: თ. ნადირიძე**

5. „ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე მდებარე 12 065 კვ/მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.26.54.059) ჩუქების ფორმით, სსიპ თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებისა (ს/კ 237113850) და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირებაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე**

**მედეა მახარობლიძე**

**მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა აღნიშნული საკითხი.**

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

## დამტკიცდა ერთხმად

6. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის N61 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: მამია მახარაძე**

**ლევან თოიძე**

**მომხსენებელმა მ. მახარაძემ განმარტა აღნიშნული საკითხი.**

**დაადგინეს:** საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.


## დამტკიცდა ერთხმად

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 2017 წლის 15 მაისს 15 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

### სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა